



სოციალ-დემოკრატიული საზოგადო-ეკონომ.

მიზრი და სალიბერალური შუანალი

წელიწადი მეორე

ცალკე ნომერი 5 კაკ.

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. „უმაბულობა“...სა-  
ქართველოში.— ან-ფარისა.

2. პოლიტიკური კრი-  
ზისი საქართველო-  
ში.— . . . . . ა—ისა.

3. ცინიზმი.— . . . . . ეკალისა.

4. „გაიმართება ილი-  
ას საღამო“.— . . . . . ეკ. გაბაშვილისა.

5. საქართველოს ახალი ეკონომისი.

6. მე და იმის ქმარი.  
—თარგ. . . . . ეკ. გაბაშვილისა.

7. ანგარიში წ.კ. გამ. საზოგადოების.

8. ჩვენი ცხოვრების  
ანბიოზი. . . . . ნარისა.

9. რუსეთის ბიუჯეტის  
დამსახისათებელი.— გ. ნ—ისა.

10. სრ. რუსეთის მე-  
ურნეთა კრება ქ. კი-  
ევში.— . . . . . გ. ნამორაძისა.

11. შვეიცარიის მოკ-  
კლე პოლ.ეკონომი-  
ური მიზიხილვა— ვინ-ცანისა

„უმაბულობა“...  
საქართველოში

დიდი ხანია მას აქეთ, რაც აქაურ მთავრობის კაცებმა, ესე იგი მოხელეებმა ქიანური მომართეს ერთს ჰანგზე და სულ ერთსა და იგივე სიმღერას აკრევენებენ ამ სასიამოვნო იარაღს. სიმღერა ესე გახლავთ ისა, რომ საქართველოში ვითომც „თავისუფალი სახელმწიფო მამული აღარ მოიპოვებოა“. თუ ეს მართალია, ცხადია, რომ მთავრობის კაცს ვეღარ დავემდურებით, როდესაც მკვიდრთათვის ერთს მტკაველ მიწას არ იმეტებენ.

თავის მომბეზრებელი სიმღერა, გულწრფელობას მოკლებული და ფარისევლო ქურქში გახვეული, უნებლიედ გვაგონებს ორს ქართულს ანდაზას: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ან: გული გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იქმევო.

წარსულ საუკუნეში მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობამ გაუბოძა უცხოეთიდან მოსულთ 200,000 დესეტინაზე მეტი სახელმწიფო მიწა ხოლო მცირე მამულიანს და უმამულო მკვიდრს, აი თუნდ ხიზანს ერთი ჩიქნა მიანც არ მისცა. ნემცებს ერგოთ ამ ორასი ათასი დესეტინიდან 14,880 დესეტინა, მცირე აზიიდან გადმოსახლებულთ ბერძნებს და სომხებს—123,017 დესეტინა, რუსეთის სექტანტებს 65,763 დეს. საშუალოდ თითო დესეტინა ათ თუმნად რომ დაეფასოთ, და-

ვინახავთ, რომ მარტო ეს ორასი ათასი დესეტინა ღირს სწორედ 20 მილიონი მანეთი. სამუდამოთ წავიდა ხელიდან ეს აუარებელი ქონება და ავლადიდება ჩვენის ერისა. რუსეთის ოდენა ქვეყანა რომ იყვეს ჩვენი სამშობლო, კიდევ ჰო, ავიტანდით როგორმე „ამ სამშობლოს სისხლის ღვრას“, მაგრამ როგორ აიტანოს ეს საშინელი ეროვნული უბედურობა პატარა ერმა? აკი ვერც ვიტანთ, აკი გავტყდით წელში და თავი ვეღარ აგვიღია მაღლა.

ბედმა მარტო ეს არ გვაკმარა. სადალაქო ოპერაცია არ დასრულებულა და თითო-თითო ნაჭრად კიდევ აჭრიან და ათლიან ჩვენს ეროვნულ სხეულს გამერიელ ლუკმებს.

მოგესხენებათ, რომ განსვენებულმა პ. ა. სტალინმა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გაამეფა რუსეთში ესრედ წოდებული ნეო-ნაციონალიზმი. მოკლედ დედა-აზრი ამ ახალის მოძღვრებისა ისაა, რომ ყველაფერი, ესე იგი სიკეთე და ძალა სახელმწიფოსი მარტოდ-მარტო რუსს და ისიც მართლმადიდებელს უნდა ერგოს და მოხმარდესო, სხვები კი, არა რუს-მართლმადიდებელნი წყალსა და მეწყერს წაუღიაო.

რაკი გამეფდა ესეთი მოძღვრება, ჩვენმა მოხელეებმა იგი სავსებით შეითვისეს და მოქმედობენ ისე, თითქოს იმპერიაში მარტო რუსი მართლმადიდებელი სცხოვრობდეს. გონება და აზრი მთავრობის მოხელისა მარტო მართლმადიდებელ რუსისკენ იხრება. სხვისა ქირი მათთვის ჩხირად გახდა.

ზემოდ მოვიხსენიეთ რომ მთავრობის კაცნი იმას ამბობენ ჩვენდა დასამზვიდებლად, რომ თავი სუფალი სახელმწიფო მამული აღარ არის და რა გიყოთო. სულ მცირე ხანში მარტო ტფილისის გუბერნიაში გააშენეს 21 სოფელი, სადაც დაასახლეს მართლმადიდებელი რუსნი.\*) სოხუმის ოლქში გააშენეს აგრედვე 21 სოფელი. სულ კავკასიაში კი გაუშენებიათ 240 სოფელი. ქიზიყელებს აქვთ სასერავიტუტო უფლება ქიურის ტყეზე; არ დაინდეს ეს უფლება, ჩამოართვეს მათ ტყე, ათას დესეტინობით გასჩხეს იგი და ჩააყენეს გადმოსახლებულნი. ქიზიყელებს პატრონი არ გამოუჩნდათ და ბედს დაუმორჩილდნენ. ყველა გონიერი ადამიანი უნებლიედ იკითხავს, თუ საქართველოში „თავისუფალი სახელმწიფო მამული“ არ არის, როგორც თავგა-

მოდებით იძახიან და ზოგიერთს ჩვენთანსაც სწამს ეს ლათია, მაშ ეს ორმოც და ორი სოფელი როგორ გააშენეს? ნუ თუ სული წმინდა არჩენს ამ ახალ სოფლებს და არა ის შავი მიწა, რომელსაც ასე მისტირის მკვიდრი საქართველოსა?

მიწა არის; თუ გული იგულებს, გამოჩნდება იგი, თუ მოუწყობელია, მოეწყობა, თუ წყალი არა აქვს, წყალს გაიყვანენ, ან დედა-მიწის გულიდან ამოიყვანენ, მაგრამ ჩვენ რა. ასე რომ მოგვეტყვენ, მაშინ დაირღვევა და შეილახება სტალინის ნეონაციონალიზმი.

სოხუმის ოლქში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, დაურიგეს ძველად სახელმწიფო (საერო) მამულები: ბერძნებს, სომხებს, ესტებს, ლატიშებს, პოლონელებს და რუსის დიდ მოხელეებს (ამათში ცოტა ქართველებიც ურევიათ) ქართველ გლეხს კი არც კი ასუნებინეს იქაურობისათვის. ხუთიოდე წლის წინად ჩასახლდა სოხუმის ოლქში ათიოდე კომლი მეგრელი. მთავრობის განკარგულებით კინწის კვრით აბარგეს იგინი და მეთაური ახალ-სოფლელებისა გვარად ახალაია, ვგონებთ, ვირის აბანოში ჩააბძანებს. ეს ადგილი დანიშნულია მართლმადიდებელ რუსთა მოსახლეებისთვის.

მკითხველს მოეხსენება, რომ მთავრობა მილიონობით ხარჯავს ფულს ბაქოსა და განჯის გუბერნიის ტრიალ-ველ-მინდვრების მოსარწყავად; გაჰყავთ არხები, გზები, აშენებენ ახალ-სოფელთათვის სკოლებს, ეკლესიებს, უნიშნავენ ჯამაგირებს მასწავლებელთ, სალველოებს, ინჟენერ-ტექნიკები ამ უდაბნოებში დღეს ბუზებივით ირევიათ. ერთის სიტყვით, სახელმწიფო დოვლათი (ამ დოვლათის შექმნაში ჩვენ, ქართველებსაც გვაქვს წილი) უხვად იხარჯება. წრეულს ეს ახალი სოფელნი დაათვალიერა სახელმწიფო ქონებათა მთავარმა გამგემ ბ-ნმა კრივოშინმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენი ძალ-ღონე ამ კუთხეს უნდა შევადოთ, რუსობას აქეთ უნდა ვუყოთ პირობა. დასასახლებელ ადგილების ძებნა სხვაგან უაზრობა და წყლის-ნაყვა იქნებაო.

ამ დიდი მოხელის სიტყვის შემდეგ გულს ცოტა მოეფონა. ვიფიქრებთ, ეგები ეხლა მაინც დაგვანებონ თავი და მოვიხსენოთ თქო, მაგრამ მოვტყუვდით.

მოგესხენებათ დიდი ველ-მინდორი შირაქისა. იგი სძვეს სიღნაღის მაზრის აღმოსავლეთ-სამხრეთით და უწევს განჯის გუბერნიას. შირაქი შეიცავს 200,000 დესეტინაზე მეტს. უწყლოა შირაქი და ცხელ ზაფხულში უხსოვარ დროიდან შირაქით

\*) ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება ამ სოფლების სახელები რუსულ გაზეთ „Знак. рѣчь“-ში ზოგი სოფელი გაშენებულია კერძო კაცისაგან ნაყიდ მამულზე საგლეხო ბანკის დახმარებით.

სარგებლობს ქართლ-კახეთის საქონელი და ცხვარი. თუ იგი ჩამოერთვათ საქონლის პატრონთ, მაშინ შეიძლება ჩვენო მესაქონლეობა. კერძოდ თუშებს ძალიან მცირე მამული აქვთ და მარტო ცხვრით სცხოვრობენ. პროლეტარათა რაზმებს თუშებიც მიემატებიან. ამას წინადა აქ გაშენდა ორი სოფელი. მთიულთა ჩამოსახლებას ვერ ინელებს თუშობა და დღესაც აურ-ხაურში არიან. გასწით, აიყარენით და გავგეცალეთ აქედანო, ეუბნებიან თუშები ქედლებს. ნაკლები ქართველები არც ჩვენა ვართ, ამბობენ ქედლები! თუ თქვენია შირაქი, ჩვენცააო და სხვა.

ესენი რომ ასეთს სასიამოვნო კინკლაობაში არიან, მთავრობის მოხელენი კიდევ თავის საქმეს აწარმოებენ. 29 ოქტომბერს 1913 წ. გაზეთ „კავკასიაში“ (№ 245) დაბეჭდილია, რომ მოხელეებს შირაქისთვის მიუტყევიან ყურადღება და დაუდგენიათ, რომ შირაქიდან ადვილად გამოიქრება 14,000 დესეტინა რუსთა საკოლონიზაციოდ. გულ დადებით შესდგომიან ამ დიდის ნაჭრის მომზადებას დასახლებლად. სთხრიან ქეებს, ასუფთავებენ წყაროებს, ჰგეგმავენ და როცა ყველა წინასწარი საქმე გაკეთდება, მაშინ ახალშენებიც გაჩაღდება.

ასე და ამ გვარად ორმოცდა ორს სოფელს მიემატება ორიოდ სამიოდე წელს, — ორმოცი სოფელი საქართველოს ტერიტორიაზე.

მთავრობის კაცნი მაინც თავისას არ დაიშლიან და იტყვიან: სადაა საქართველოში „თავისუფალი სახელმწიფო მამულია“? ხოლო ჩვენ? „სახოგადო აზრის“ შემქმნელნიც ჩვენში თავისას არ დაიშლიან. ერთი მათგანი აი რა საუცხოვოდ აზროვნებს: „მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ საქართველოში თავისუფალი მიწა ცოტაა. თვით დღევანდელი მთავრობაც კი აღიარებს, რომ მიუხედავად დიდის სურვილისა, საქართველოს შუაგულში მ-უხეგრებელია რუსეთის გადმოსახლების პოლიტიკის წარმოება მიწის სიმცირის გამოვო. თუ ამ დასკვნამდე კავკასიის უმაღლესი მთავრობაც კი მივიდა, სჩანს, მართლაც, საქმე არც ისე ყოფილა, როგორც ბევრს შეიძლება ეგონოს. **მიწის სიმცირე მოგონილი ზღაპარი არ არის. იგი ფაქტია და ამასთანავე ერთად იმდენად თვალსაჩინო ფაქტი, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობაც — კი იძულებული გახდა ელიარებინა იგი.**“

რითი განირჩევა ეს უებარი მეცნიერი ბ-ნს სტრელობიცკისაგან? გვაწყენს რაღა, სოხუმის ოლქში და შირაქში ბინადრობა, ვინაიდან „საქარ-

თველოს შუაგულიდან“ შორს არის ერთიც და მეორეც? „ეროვნული მთლიანობა“ „მთლიანობა ეროვნულ ტერიტორიისა“ თურმე მარტო ტირიფონა\*) ყოფილა... კაი რამ შვილი კი იქნება „ტირიფონას“ ავტონომია.. მაგრამ უსუსურ ბავშვთა სანაფარდოდ და საჯირითოდ ტირიფონაც საკმარისი ველია.

ან-ფარი.

## პოლიტიკური კრიზისი საქართველოში

საქართველო სასტიკ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. იგი გამოწვეულია ერთის მხრივ მთავრობის ყოფაქცევით, როგორც ამას გაზეთი „იმერეთიც“ აღნიშნავს, მეორეს მხრივ — საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებით. ჩვენ ვსცხოვრობთ კოლექტიურ აზრსა და დისციპლინას მოკლებულ დროს. ეროვნულ პოლიტიკის უქონლობა წითელი ზოლია, რომელიც ჩაჰქსოვია ყოველ მოვლენას, რომელსაც კი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბეჭედი აზის. მონობასთან ბრძოლა დღეს, პოლიტიკურ პარტიებისათვის, მთავრობასთან კავშირით შეიცვალა და გუშინდელი ნაზარეთი დღეს აღტქმის ქალაქად იქცა, საიდანაც ურწმუნონიც კი მესსიას მოელიან. მთელი საქართველო გახრწნილ ლაზარეს დაემსგავსა, რომლის მეგობრებს კიდევ სურთ მისი აკლამაში შეგდება.

სრული უქონლობა ეროვნულ პროგრამისა და მახასიათებელი თვისებაა მომენტისა. თვით ეროვნული იდეა, რომელიც სულ ახლო წარსულში საკამათო საგნად ითვლებოდა, იმავ წარსულის წყალობით, დღეს სასტიკ სუბორდინაციას განიცდის. ცნება ერისა და ეროვნული მოთხოვნისა დღეს რთულ თეორიულ და აბსტრაქტულ სოციალურ სისტემებს ექვემდებარება და ეროვნული პოლიტიკა, თავის ბუნებით ლალი და ფრიალ პერმანენტული, უძრავად სდგას სასტიკ რეაქციის ქაობში ჩაფლული. ეს სუბორდინაცია არის, რომ ჰქმნის პოლიტიკურ კრიზისს. აიღეთ თანამედროვე ქართული პროგრამები: შიგ ნახავთ სოციალიზმსაც და ფედერალიზმსაც, რვა საათის სამუშაო დღესაც და მუშათა დაზღვევას, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ, რომ

\*) ტირიფონა ქართლის შუაგულია.

ეს პროგრამები იძლიოდნენ პრაქტიკულ დასკვნებს, რომელიც საქარონი არიან ყოველ ქართველისთვის მათს მძიმე ცხოვრებაში და ბრძოლაში. აღზრდა ქართველის მოქალაქისა სულით და ხორციით, ნათელის მსოფლმხედველობით და უდრეკ პატრიოტიზმით— აი რა უნდა იყოს დანიშნულება ამ პროგრამებისა, რასაკვირველია, იმის გარდა, რომ ეს პროგრამები ამასთანავე სავსებით უნდა გამოხატავდნენ ქართულ პოლიტიკურ მისწრაფებას. ნამდვილად კი, ამის ნაცვლად ისინი გვიზრდიან, რაღაც „მსოფლიო მოქალაქეთ“ ამ მსოფლიოს ვითარების სულ მდარე ცოდნით. და ამ რიგად რაც უფრო „აფართოვებენ“ ეს პროგრამები ჩვენს ჰორიზონტს, მით უფრო ხედვის ენერგია პერიფერიებში მიგვდის და მით უფრო ხედვის ენერგია ცენტრში კლებულობს. და პოლიტიკური სიბეცეც ხომ სწორედ ამასა ჰქვია.— ყველაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა ახლოს!

განსაკუთრებულმა გატაცებამ ინტერნაციონალურის იდეებით, შეჰქმნა ის, რომ გამოტოვებულ იქმნა თვით ნაციონალური იდეა და თვით ისინიც კი, რომლებიც ეროვნულ პოლიტიკის მკვლევარად ითვლებიან, უკეთეს შემთხვევაში ისეთ მებრძოლთ მოგვაგონებენ, რომლებიც საბრძოლველად კი გამოსულან, მაგრამ წინდაწინვე დასტირიან თავიანთ მტრებს, რომელთა სისხლი ბრძოლის ველს ჯერ კიდევ არ მიუღია. ასეთი ოპერეტული გულკეთილობა მებრძოლთა ჩვენ მიგვაჩნია ქეშმარიტ პოლიტიკურ სილაჩრედ.

დრო მოითხოვს, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგრამები განწმენდილ იქმნენ იმ ხორცმეტების გან, რომლებიც ჰქმნიან მხოლოდ მის სანახაობას და არა შინაარსს. ეროვნული იდეა ისტორიის ყველა ხანაში განცვიფრებადვე კონკრეტული იყო, მას მიტომ ითვისებდა ხალხი, რომ იგი სადა იყო და არავითარის აბსტრაქციებით არ იყო დატვირთული. „რომი, ან სიკვდილი,“— იძახდნენ იტალიელები გარბილდის მეთაურობით და ეს ორი სიტყვა გასაგები იყო ყოველ პატრიოტ კარაბინერისთვის. ჩვენში კი, მიუხედავად ყოველივე ფიციისა, რომ ეროვნულმა იდეამ მძლავრად გაიდგა ხალხში ფესვები, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იდეა ხალხზედ ჯერ კიდევ შორსა სდგას. რათა? იმიტომ რომ იგი არ არის კონკრეტული, სადა. იგი დატვირთულია აბსტრაქციებით და ხალხს აღარ ეყურება. ეროვნული პოლიტიკა მოძრავი

უნდა იყვეს, იგი ცეცხლსა ჰგავს ჩაუქრობელს, რომელიც არასოდეს არ უნდა ქრებოდეს იმიტომ, რომ მისი ანთება ყოველთვის ადვილი არ არის და როცა ეროვნულ იდეას ზედაკოწიწებენ სხვა რთულ სოციალურ აბსტრაქციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის განვითარებას აჩერებენ. ეროვნულ უფლებებისთვის ბრძოლა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. მას აქვს თავისი მეტოდები, საუკუნოებით ნაკურთხი და ერებიც იმარჯვებდნენ ვიდრე არ დალატობდნენ ამ მეტოდებს ბრძოლისას. მაგრამ რა ბოლო უნდა ჰქონდეს ისეთ ბრძოლას, რომელშიაც მთავრობა მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზედ გვებრძვის და ჩვენ კი კლასობრივ ბრძოლაზედ აგებულს პასუხს ვაძლევთ? ეს არის *missens* საქართველოს პოლიტიკურ მაჯის ცემისა და ვიდრე ჩვენი პოლიტიკის მეთაურნი არ შეიგნებენ ამას, ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ ამ საშინელ კრიზისს.

ა—ი.

## ც ი ნ ი ზ მ ი

ბ. სტრელობიციმ მე-V კლასის ჩინი მიიღო— სასიხარულოდ გვაუწყებს ახალ ამბავს ადგილობრივი მთავრობის გაზ. „კავკაზი“. ამ რიგად, მთავრობის ხიზანთა კანონ-პროექტის სულის ჩამდგმელი ავანსადაა დაჯილდოვებული. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ავანსის მიღებით არ დამთავრდება ბ. სტრელობიციკის კარიერა. მით უფრო დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ბედნიერ მთავრობის მოხელეს ისეთი ძლიერი „მეცენატი“ აღმოუჩნდა, როგორც „სახალხო გაზეთი“, რომლის პორთფელზედ ეს ხუთი წელიწადია გახეხილი ყალბი ვერცხლის წარწერა აკრავს:

ქართული საზოგადოებრივი აზრი.

ბ. სტრელობიციკის ციხე სიმაგრე გაზ. „კავკაზი“ სავსეა „სახალხო გაზეთის“ წერილებიდან ციტატებით, რომელთ დანიშნულებაა აჩვენოს მთავრობას, რომ აი რა სამართლიანად სჯის „ქართველი საზოგადოება“ და აი, რა მომხრეა „ქართველობის უმრავლესობა“ მთავრობის მიერ შედგენილ ხიზანთა კანონ-პროექტისა. ოფიციალურ გაზ. „კავკაზის“ ერთსულოვნობამ „სახალხო გაზეთისადმი“ იქამდისაც კი მიადწია, რომ არ მოერიდა სოციალისტურ პოზიციასაც კი: „ბ. ან-ფარი ხიზანთა საკითხში თავად-აზნაურობის პოზიციასზედ სდგას და

წოდებრივ-კლასობრივ ინტერესებით ხელმძღვანელობსო“!.. (იხ. გაზ. „კავკაზი“ № 244).

როგორ მოგწონთ? გაზ. „კავკაზი“ და სოციალისტური პოზიცია?!. მაგრამ ეს კიდევ არაფერი... წარსულ პარასკევს (ეს იყო ის პარასკევი, როდესაც ჩვენი „სოციალისტ-ნაციონალისტები“ მარხვას ინახავენ) იურიდიულ საზოგადოების სხდომაზედ „სახალხო გაზეთის“ ჯგუფმა სოციალდემოკრატებთან ერთად მიაკრა თავისი ბექედი ბ. სტრელბიციკის „დემოკრატიულ“ ხიზანთა კანონპროექტს და სტრელბიციკისთან ერთად შეცდვგი რეზოლიუცია გამოიტანა: მთავრობის კანონპროექტი ხიზანთა ინსტიტუტის მოსპობის შესახებ უნდა ცნობილი იყოს საკმაოდ დასაბუთებულად და მიღებულ იქნას.

ბ. სტრელბიციკის მარტო ეს უნდოდა. გახარებული, საჩქაროდ მიკეტა თავისი პორთფელი, მაღლობა გამოუცხადა ქართველ გლეხის მოამბაგეებს „ქართველ დემოკრატებს“ და შინისაკენ გაექანა. მეორე დღეს ბ. სტრელბიციკიმ ჩინი მიიღო; ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ და კერძოდ ჩვენმა ჟურნალმა კი „მოკლე პასუხი“ ბ. ა. ჯ—შვილისა. „ჟურნალ კლდეს—ამბობს ბ. ა. ჯ—შვილი თავის გაზეთის მე-1029 ნომერში,—ერთი რამ უნდა მოვახსენო არსებითად. იგი ბრძანებს, არ. ჯ—შვილი და „სახალხო გაზეთი“ მთავრობის პროექტს უჭერს მხარსაო. ეს მსუბუქად რომა ვსთქვათ ტყუილია. არც ერთხელ „სახალხო გაზეთში“ მთავრობის პროექტის დასაცავად წერილი არ დაბეჭდილა... რანაირად უნდა გადასწყდეს ხიზანთა საკითხი ჩვენის აზრით? გეტყოდით, მაგრამ გვეშინიან, როგორც რეალურ პოლიტიკით დაბრძენებულ და ყოველგვარ „საოცნებო ილიუზიებს“ მოკლებულ ხალხს, გული არ შევიწუხდეთ. ამის მეტი საპასუხო არაფერი მაქვს.“

მართლაც, რომ დაღუპულია ის ქვეყანა, რომლის სათავეში ამისთანა მოკლე პასუხიანი და სირცხვილის მოურიდებელი ხალხი სდგას!

„კლდის“ ნათქვამი, რომ „სახალხო გაზეთი“ მთავრობის პროექტს უჭერს მხარსაო მსუბუქად რომ ვსთქვათ ტყუილია!!!“ გვეფიცება ეხლა ბ. ა. ჯ—შვილი.

ასე, „მსუბუქად რომ ვსთქვათ“, საზარელ ცინიზმს კომენტარები აღარა სჭირია.

ზემოდ მოყვანილი ამბები ნიღაბსა ხდიან „სახალხო გაზეთის“ ჯგუფის პოლიტიკას. იმ პოლიტიკას, რომელიც ცინიკურად უპასუხებს ქართულ

ეროვნულ ცხოვრებას: გინდა გაიგო ჩვენი აზრი შენ მძიმე საკითხებზე? გეტყოდი, მაგრამ გვეშინიან... გული არ შევიწუხდეს!!

აქაც კი ცინიკური ტყუილია შემალული, მაგრამ ერთი სიმართლეც.

ტყუილია ის, რომ „სახალხო გაზეთის“ ჯგუფს თავის ბელადებით მართლაც ჰქონდეს, რაიმე სწორი და გარკვეული აზრი, როგორც რთულ ხიზანთა საკითხში, ისე სხვა რეალურ ეროვნულ საკითხებში. და მართალია, რომ ამ სწორ აზრის უქონლობა „სახალხო გაზეთის“ შიშსა ჰგერის და ძალა-უნებურად მოკლე პასუხებს აწერინებს.

ამ „მოკლე პასუხიან“ მოღვაწეთა წყალობით კი ქართველი ერი მართლაც კაი ხანია გულშეწუხებული და უძღლური გდია გზის ნაპირას და ყველა გამველ-გამომველი მასაჰგლეჯს და სჩიქნის...

ეკალი.

### „გაიმართება ილიას საღამო“

ამ განცხადებით მიმართავს ხოლმე ჩვენი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და იმისი პროვინციალური განყოფილებანი ქართველ საზოგადოებას ღვინობისთვის მიწურულეებში და საზოგადოებაც გულის ფანცქალით მიეშურება ჩვენი ხელოვნების ტაძრისკენ იმ იმედით, რომ იქ გაიგონებს და დაინახავს რასმეს იმისთანას, რაც ნათლად წარმოუყენებს ილიას განვლილ ცხოვრების რომელსამე კუთხეს, ან იმის ნაღვაწის სისრულეს და მშვენიერებას, და ნანახის და გაგონილით გაამაყებული და გაღმობიერებული, ერთხელ კიდევ შეუთვლის, მადლობას და თაყვანისცემას თავის ჯვარცმულ საუკეთესო მამულიშვილს, მაგრამ... მაგრამ სამაგიეროთ ამ „საღამოებიდგან“ დამსწრე, ყოველთვის აღშფოთებული და გულდაღალული გამოდის. არავითარი სიყვარული, არავითარი პატივისცემა და გულმოდგინება იმ კაცისადმი, რომელმაც თითქმის ერთად ერთმა შეჰქმნა ჩვენი აღორძინება!

სახელდახელოდ, ბალაგანურის სისწრაფით შეკოწიწებული დომხალი, სრულიად მოუშხადებელი არტისტები და ის გარეშე პირნი, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ილიას სახელით გამართულ „საღამოებში“!

ნუ თუ დრო არ არის, ნუ თუ იმდენად მომ-

წიფებული არა ვართ, რომ ილიას სახელს ღირსეული პატივი ვცეთ, ღირსეულად ცხად ვყოთ იმისი უკვდავი პიროვნება? მაშ რატომ ერთხელ და სამუდამოდ ქართველი საზოგადოება არ შეიმუშავებს ღირსეულ პროგრამას ამ საღამოებისას?

ნუ თუ ილიას გახსენების და პატივისცემის დღეს, ერთად ერთს დღეს წელიწადში, ყოველმა ქართველმა ლიტერატორმა, არტიტმა, ხელოვანმა და მუსიკოსმა შეერთებულის ძალით არ უნდა შეჰქმნან იმისთანა რამ სადიდებელი, რომელიც დიდს კაცს და დიდს მოამაგეს შეეფერება?

აქ მხოლოდ სიყვარულია საჭირო და სარწმუნოებრივი თავიანთება ილიასამდი, თორემ მასალა ასარულებლად თვით ილიას ცხოვრებიდან და წარმოებიდან აუარებელია.

საკმაო სვინდისერად და შეგნებით განსახიერდნენ ამის პროზით ნაწერის გმირები, გრძობით წარმოითქვას ლექსები და შესაფერად გამშვენირდეს სცენის მოწყობილება.

ამ „საღამოებს“ გასართობი ხასიათი არ უნდა ჰქონდეთ. ისინი უნდა იყვნენ ესტეტიურად მოწყობილნი, საერო ლიტურგიის მიგვარად შემუშავებული და მაშინ იგინი აღძრავენ მაყურებელში ღრმა და დამსახურებულ აღტაცებას, სიყვარულს ძვირფასის დაკარგულის მგონისადმი.

ყვარლის მთები, ალაზნის შეუდარებელი მდელი, საგურამოს ველზედ გადმოყურებული ილიას სასახლე და თვით ილია ამ სასახლის აივანზედ მდგომი „ფიქრთა მწირეთა“ აღზნებული, განა უდიდესს ექსტაზს არ გამოიწვევდნენ და ცოცხლად არ ჰყოფდნენ ყველას მცხსიერებაში დიდი ილიას გახსენებას?

ხომ ყველანი ასე ვგრძნობთ, ხომ ყველას გვინდა, რომ დიდებულად და ბრწყინვალედ იყვეს ილიას სახსენებელი? მაშ რატომ არ უპატრონებთ, არ გაავამწვენიერებთ ამ „საღამოებს“? განა ეს „საღამოები“ მარტო ნივთიერის საშუალების გასაძლიერებლად უნდა იმართებოდნენ?

არა, არა! დროა ვისწავლოთ ლოცვა და დიდება ჩვენის გმირებისა და მხოლოდ სარწმუნოებრივის მოწიწებით მოვიხსენიებთ მათ.

ეკ. გაბაშვილისა.




## საქართველოს ახალი ეგზარხოსი

რუსული გაზეთი „დენი“ № 287 შემდეგს გადმოგვცემს საქართველოს ახალი ეგზარხოსის შესახებ: „როგორც ეხლა ირკვევა, ტაბოლის ეპისკოპოსი ალექსის საქართველოს საეგზარხოსო კათედრაზედ დანიშნვის გამო დავობდნენ არა პროგრესიული და კონსერვატიული ელემენტები სასულიეროთა უმაღლესი სფეროებისა, ბრძოლა გამართული იყო უკიდურესს მემარჯვენეთა სხვა და სხვა ფრაქციებს შუა, როგორც ესა ხდებოდა მოსკოვის მიტროპოლიტის მაკარის დანიშნვის დროს. გაიმარჯვა იგნატიევის წრემ, რომელმაც ბოლო დროს ზურგი შეაქცია სინოდის ობერ-პროკურორს ვ. კ. საბლერს. ამავე წრეს მიემხრო ცნობილი რასპუტინიც.“

საქართველოს ახალი ეგზარხოსი თავისი პოლიტიკური რწმენით სდგას არამც თუ მემარჯვენეთა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვით უუკიდურეს მემარჯვენეთა რიგში. მისი პოლიტიკური რწმენა ნათლად დახასიათდა ჯერ ისევ 1905-ის წლებში, როდესაც მან სიმფეროპოლში სწორედ იგივე გაიმეორა, რაც წილად ხვდა მოექმედა არქ. მაკარის, ეხლანდელ მოსკოვის მიტროპოლიტს, ტომსკში. სიმფეროპოლში არქიეპ. ალექსი პატრიოტულ ორგანიზაციების სათავეში იდგა, და როდესაც მან თავისი ქადაგებებით უკმაყოფილება გამოიწვია უმაღლესს წრეებში და მდიდარი ტავრიდიდან ღარიბ პსკოვში გადაიყვანეს, რუსის ხალხის კავშირმა სინოდს აუარებელი თხოვნა გაუგზავნა, ეპისკოპოსი ალექსი ისევ სიმფეროპოლში დაეტოვებინათ. განსვენებულმა მიტროპოლიტმა ანტონიმ მათ ყურადღება მიაქცა არ მიაქცია.

საქართველოს ახალი ეგზარხოსი ამბობს, თბილისში მისვლისას სიტყვას წარმოსთქვამს, „თქვენთვის მშვილობა მომაქვს, და არა ნაჯახიო;“ მაგრამ სწორედ ეს სიტყვები ეპ. ალექსიმ სთქვა თავის სიმფეროპოლში მისვლისას 1905 წლის აპრილში, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში კი გამოვიდა ქუჩაში და დალოცა ის პროცესია, რომელიც „პროგრამების“ ქვაკუთხედი იყო, და თავის ქადაგებებში, რომლებიც ადგილობრივ „საეპარქიო უწყებას“ და შავრაზმულ გაზეთებში იბეჭდებოდა, ნათელი და სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ლიბერალური

მოძრაობისა; საეკლესიო კათედრიდან ამბობდა, რომ ეს მოძრაობა თავისუფლების ქადაგება კი არ არის, და ამ თავისუფლების ხალხი არც საპიროებს, არამედ სინდისისაგან განთავისუფლებაა.“ შავრაზმელთა კრებებისათვის ებ. ალექსი აძლევდა სასულიერო სასწავლებლების შენობებს და მთარველობდა იმ სასულიერო პირთ, რომლებიც უკიდურეს მემარჯვენე პარტიებს ემხრობოდნენ. ყველა ეს ეხლა სახეში მიიღეს და ამას ღიღი გავლენა ჰქონდა ებ. ალექსის საქართველოს ეგზარქოსად დანიშვნაზედ, სადაც საქიროა დამყარება „რუსული ელემენტისა“, და „რუსული სულისა“.



## მე და იმის ქმარი

(მოთხ. ბ. ნე ვოლმერისა).

საშინელის სისწრაფით მოკლდა ავადყოფილმა. სულ ორი კვირა გაკრძალდა ამისი ტანჯვა. შემდეგ სულთა ბრძოლა...

გინახავთ, როგორ ჰქრება სინოცხლე იმისთანა არსებისა, რომელიც თითქმის იმისათვის არის გახენილი რომ თავის გარშემო ახაროს გული და თავისის თეთრ-ყინშიც ხუჭუჭებით მოჭეფინოს თავის გარშემო სიხარული და სიუმაწვილე?... ისინი სცხოვრობენ მხოლოდ შემოდგომის დადგამამდე, ისინი მიეშურებიან, ამითი მოხუცებულებს სასაცილო იქნებოდა, ისინი გრძნობენ აშას და ჩქარობენ.. ჩქარის ნაბიჯით, აღფრთოვანებით, გატაცებით ეწაფებიან სინოცხლეს, და ამიტომ მიეტყუებათ კიდევ, თუ სიჩქარის დროს სცდებიან...

ის მოკვდა ნოემბრის ერთ დღეებში სავსე დღეს, შებინდებისას. ღორეზმა მე დამიბარა, იმას მარტო დარჩენისა ეშინოდა ცხედართან, ეშინოდა ჭკუასზედ არ შეშლილიყო. ღორეზი ვერ ურიგდებოდა იმ უსამართლო მოვლენას, რომელმაც ისე უცებ, მოულოდნელად დაარღვია იმისი ტუბილი და შეუდრო ცხოვრება.

ღორეზი იმდენად კეთილი და მინდობილი ადამიანი იყო, რომ თავის დღეში ვერ წარმოადგენდა, რომ მე, იმისი საუკეთესო მეგობარი და ნახი ზოლისა ვდალატობდით იმას.

ქმარი ქვითინებდა და გულის დუდილით იმეორებდა:

— უსამართლობაა, საშინელი უსამართლობაა, ეს ცეცხლი, ეს ჩემი დაწვა!

მე არ ვტიროდი, თუმცა იმაზედ მეტად ვიტანჯებოდი.

როცა მშენიერი ქალი კვდება, იმისი მოტრფილე უკვლახედ სცნობდა ქმარს. იმას ნება არა აქვს ცხედარს თავისი გულის დუდილი, ის გულშივე უნდა იკლავდეს თავის ვარაზს, იმას ნება არა აქვს უკანასკნელად ეამბოროტოს თავის ძვირფას არსებას...

მე საშინლად მიეფარდა ზოლისა, ვიტანჯობდი ეჭვიანობით, ათი ათასჯერ ვეშუადრებოდი გაჭეროდა ქმარს და ჩემთან ეცხოვრნა. მჯეროდა რომ იმას მხოლოდ მე უკვარდი და ვოველი იმისი სინდრით გადადგმული ნაბიჯი მადლეკვებდა...

ღორეზი სწვევდა მუხთად ბედს, უაღრესებდა მიძინებულს, ცრემლებით უღებოდა გაშუშებულ ხელებს, იგონებდა ბენიურებით გატაცებულ წამებს და ვეგლა ამით სწავლავდა ჩემს გულს, გონებას, სვინიდისს, ჩემს მუხსანობას აათასებდა და მანამ ცოცხალი ვარ ვედარ დავივიწიებ ამ წამებს ჩემს წვალებიანს!

დიდი ოთახი, მხარულის ღამისის დგამით მართული. ზოლისა ისევ ღოგინსედ ასკენია, გულზედ დაბადება უსვენია. მადალ მანდლებში ჩარჭობილი სანთლები ანათებენ იმის მშენიერ სხეს, თეთრს აბრეშუმის-მაგვარ კულულებით შემოსულუდეს...

რამდენი ხანი ვიჯექი იმის გვერდით და უფრო უკლებდი იმის ქმრის საშინელ მწუხარებას?..

უცებ ღორეზი ადგა და მითხრა:

— ამაღამ ერთად გავატაროთ ეს საშინელი დამე. მე კი ვერ გავბედავ უარი შეთქვა, რომ ეს საშინელი ტანჯვა მომესპო. მე მხოლოდ ვთრთოდი.

— გცივა? შედი საფარეშოში, იქ ცეცხლი ანთია. კი არ გაიბარო შენი ღვთის გულისათვის, მარტო არ დაიტოვო.

მე უხასხუე რომ სრულიად არა მცივა და ისევ გვერდით მოუფიქრი. იმან განაგრძო დაწვრილებით ზოლისას უკანასკნელი წამების აღწერა და როცა გაათავა, მე შუბით ამოვისუნთქე და ვთქვი: ეს არას ბოლო მოკლე ჩემს ქენჯნას შეთქი; მაგრამ მოვსტუუვი...

ის უცებ წამოხტა, მიიჭრა ზატარა სწორ სტოლთან და იქ ქადაღდებს შორის ხელების კანკალით რაღაცის ძებნა დაიწყო.

მე ვავიტუტუნე: — რას შერები?

იმას არაფერი მიახსენა. მე საშინლად შევერთი, ვიფიქრე, ჩემს წერილებს ხომ არ ეძებს შეთქი. ეს უსაფუძლო შიში იყო, რადგან ქმარმა არაფერი არ იცოდა, მაგრამ სვინიდისი მამხილებდა... მაშინ ვოველ დღე ვწვრდი ზოლისას... ნეტა თუ დასწავა წერილები? ჰქონდა დრო, ან გაიმეტა ივინი დასაწავად? და კვლავ აკანკალებულის ხმით დავეკითხე.

ღორეზი წელში გასწორდა. ხელში დიდი ჰაკეტი

ეჭირა, მოვიდა ჩემთან, მხვეს და მე მასკად ამოვიკითხე ზოლიანს ხელით წარწერილი: „დასწვი ჩემა სიკვდილას შემდეგ! და მეგობარმა მიაშობ, თუ როგორ შეესგაწა ცოლი, რომ უთუოდ დეგწვა ეს ჰაკეტი, რომელშიაც დაფარული იყო ერთი იმის ამხანაგი ქალის საიდუმლოება.“

— აქ დარჩი—დაუმატა ლორეზმა—მე წავალ ს. ზირისფარეშოში და ცეცხლში ჩავაგდებ ამას. და ის ხელის ნაბიჯით გავიდა მეორე ოთახში. მე კვლავ არ მქონდა რომ იმ ჰაკეტში ჩემი წერილები იყო ჩაფარებული.—გაშინჯავს იმათ, თუ ისე ჩავაგდებს ცეცხლში? წამები, რომელიც მე იმის დაბრუნებამდე გავატარე, უდიდესი ტრაგიზმით იყო სავსე ჩემთვის...

როდესაც ლორეზი დაბრუნდა, მე ცხედარსეც ცივი და ფერმკრთალი ვიყავი, დონე აღარ მქონდა იმისთვის შემეხედნა, ვგრძნობდი რომ დიხსი ვიყავი იმის ხელით გულის გაკმინვისა და მხოლოდ წავიდეუდეუდე:

— წავალ ცეცხლთან კავთბები...

მეგონა ხელს მტაცებდა, დამიწებდა გმობას, მარამ იმან მხოლოდ მითხრა:

— წადი! და ზედაც კი არ შემომხედა.

სამჭაროდ შევედ ბუდუარში, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და მთლად მოსდებოდა იმ ჰაკეტს, რომელიც მეგობარს ცეცხლში ჩავაგდე. მე დაკვირვებულად ვაჩინე, დაინახე ჩემის თვალით, რომ ის წერილები ჩემი არ იყო.

მე ხათლად გავარჩიე რამდენიმე სტრიქონი, ეს სკვადრის წერილები იყო; სხვა ვიღაცა სწერდა ჩემს ზოლიანს. გესმით, სხვა კაცი და ის კაცი ჩემსეც მეტად უეფარდა ზოლიანს, მეტად იმითა რომ ამისი წერილები უკანასკნელ წუთებამდე ვერ გაიმეტა მოსწონებულად. მე მინდოდა შემეტოე სხელი ჩემის მეტოქისა და ცეცხლადგან გამოგვლიჯე რამდენიმე დამწვარი ხაკლეჯი, მაგრამ სხელი ვერ ამოვიკითხე. ეჭვიანობამ შემხარა და რომ სანაწარვეთილებით არ დამედრიალხა, მუშტებზედ კბილები მოუჭირე, შერე ავჭვითანდი, შერე მასხარად ავიგდე ჩემი თავი:

— ძლიერ კარგი! ძლიერ კარგი! ახია შენზედ! აჰ! რა საშინლად ვიტანჯებოდი, რა საშინელი ჯოჯოხეთის ცეცხლი აკრძნო ჩემ ბუნებაში!

...მაგრამ უნდა დაგბრუნებულაიყავ იქ, სადაც ის იყო... და სად ვიპოვე ამდენი დონე რომ დაგბრუნდი?!

ლორეზი დაჩოქილი იდგა საწოლის წინ და შეჭურებდა სისიკებით თავის მუდლეს, ისიც უდიდოდა ქმარს, უდიდოდა იმ მეკდრის სოცარის დიმილით, რომელიც ბეგრად უფრო ირონიულად გამოხატავს ხელმე დაცინვას კაცთა სისულელესეც, მანამ ცოცხალთ ძაღუძთ ამის გამოხატვა...

— დახე, რა მშვენიერია! შემამტუტუნა იმან. და თაყვანისცემით კამბორა ცხედრის მარჯვენას.

ე. კ. გაბაშვილისა.

## ანგარიში

ქართ. შ. წ.-კ. გამ. საზ. მოქმედებისა 1912 წ.

პირადად მე, და ალბად მკითხველსაც, რალაც უცხოდა და არა ჩვეულებრივად მიმაჩნია 1913 წლის ბოლოში 1912 წლის ანგარიშის განხილვა. ნუ თუ წ.-კ. საზოგადოების გამგეობას შეძლება არა ჰქონდა ეს ანგარიში გამოექვეყნებინა უფრო ადრე—ახალი წელიწადის პირველ სამ-ოთხ თვეში მაინც, თორემ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს 1913 წ. მოქმედებისთვის ეხლა, მაგალითად, ამ 1912 წლის ანგარიშის განხილვას. რასაკვირველია, 1912 წელში გამგეობის მოქმედებას ჰქონდა კარგი მხარეებიც სუსტიც, ცუდიც; როგორ უნდა ეჩვენებინათ ეხლა ყველა ეს მხარეები წევრებს მათთვის, რომ 1913 წლის მოქმედებაში კარგი მხარე ისევ კარგად ეწარმოებინათ და წარსული შეცდომები კი გაესწორებინათ? ეს არა სასურველი მოვლენაა, და კარგი იქნება სამერმისოდ მაინც აღარ ხდებოდეს ამ გვარი რამ.

გადავიდეთ ახლა თვით ანგარიშზედ: მიმდინარე წელს საზოგადოებას ჰყავდა მთელი განყოფილებებით 2283 წევრი. ეს რიცხვი ძალიან მცირეა თუ მივიღებთ მხედველობაში ქართველი ერის რიცხვსა და იმას, რომ საანგარიშო წელი საზოგადოების ცხოვრების ოცდა მეთორმეტე წელიწადია. ამ რიცხვში თბილისის საზოგადოებაში არის მხოლოდ 240 წევრი, და ამ მხრივ მაღლა სდგანან განყოფილებანი ქუთაისისა, რომელსაცა ჰყავს 320 წევრი, სოხუმისა 290 წევრი და ბათუმისა 271 წევრი. ქართულ ცხოვრების ცენტრში ამ გვარ დაწესებულებას 240 წევრის ყოლა გამგეობის მოქმედების სუსტ მხარეს შეეხება. თუ საზოგადოებას 2283 წევრი ჰყავს სრულიად, ეს იმისი ბრალია უფრო, რომ ადგილობრივ სდგებოდნენ წრეები, რომლებიც შემდეგ ცენტრს უკავშირდებოდნენ. ამავე უმოქმედობას ამტკიცებს ისიც, რომ ყველა წევრი გამგეობისა ერთად უნდა ყოფილიყო სხდომებზედ 637 ჯერ, და ისინი კი დაესწრნენ მხოლოდ 380 ჯერ, ე. ი. თითქმის მხოლოდ ნახევარჯერ. თვით თავმჯდომარეს ამხანაგი დასწრებია მხოლოდ 30 კრე-

ბას 49 კრებაში, ხოლო ზოგიერთი წევრი—ვართა-გავა—17; მგელაძე 21 და სხვ. რასაკვირველია, ამგვარი ყურადღებით მოქცევა გამგეობის წევრების მიერ ამისთანა საქმისა დიდს სარგებლობას არა იქმს.

განყოფილებათა საქმე უფრო კარგად არის დაყენებული; რასაკვირველია, ზოგიერთის გამოკლებით, როგორც, მაგ., გორის განყოფილებისა, რომელიც სრულიად მკვდარ განყოფილებად უნდა ჩაითვალოს.

საანგარიშო წელს, ანგარიშის მიხედვით საზოგადოებას ჰქონდა სულ 16 სკოლა. რასაკვირველია, ეს რიცხვი კარგია, მაგრამ ცოტა დაკვირვებით რომ გავსინჯოთ ეს რიცხვი, გამოვა, რომ აქაც უმთავრესი ღვაწლი მიუძღვით განყოფილებათ, თვით ცენტრალურ გამგეობას კი სულ 6—7 სკოლა თუ აქვს. გამგეობის ანგარიშით მასა ჰყავს 41 მასწავლებელი, ნამდვილად კი მას უნდა ჰყავდეს სულ 7—9 მასწავლებელი. რომელსაც თავისი ხარჯით ინახავს.

საზოგადოდ, დაწვრილებითი განხილვა ანგარიშისა ჩვენ ეხლა აზრად არა გვაქვს. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ წ. კ. საზოგადოება, როგორც ემჩნევა ამ ანგარიშს, რასაკვირველია წინ მიდის, რომ მისი მიზანი და დანიშნულება საქართველოს ყველა კუთხეში იკიდებს ფეხსა, არსდება წრეები და უერთდება მთავარ საზოგადოებას განყოფილების სახით. ამ მხრივ ბევრ სანუგეშოსა და საიმედოსა ვხედავთ, ხოლო რაც შეეხება კერძოდ მთავარ გამგეობას, აქ კი ბევრი არა სანუგეშო რამ გვხვდება. მათი პირველი ვალია სხვათა შორის ქართული წიგნების გამოცემლობა, და აქაც კი თვით იმისთანა წიგნის გამოცემა, როგორც არის ილია ქავჭავაძის თხზულება, კერძო პირს დაუთმო. მისი გამოცემანი განისაზღვრება მხოლოდ „დედა-ენითა“ და სხვა მის გვარ სახელმძღვანელო წიგნებით. უფრო კი გასაკიცხია გამგეობა იმით, რომ სანუგეშოატიკო კოლექციიდან რვა ცალი ოქროს ფული დაჰკარგვია. გამგეობა მწუხარებას აცხადებს ამის გამო. მწუხარება კი არა, აქ მთელი ვაი და ვალალი უნდა დაესხათ თავსა, ეს იგივეა, რომელიმე ბანკის დირექტორმა რომ განაცხადოს, სამწუხაროდ ამა და ამ საქმის საბუთის ქაღალდები დაგვარგეო. ეს რასაკვირველია, იმას სისხლის სამართლიდგან არ იხსნიდა. აქ კი ბოდიშს იხდიან „სამწუხაროდ, დაგვარგეთო“. ტყუილად კი არ ურჩევდნენ 1912 წლის ივნისის კრებებზედ. მუზეუმი გადაეცით სა-

კუთრივ ამ მიზნით. დაარსებულ სპეციალურ ქართულ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასო.“

დასასრულ ორიოდ სიტყვა სტიპენდიების შესახებაც. რითი ხელმძღვანელობს ხოლმე ნეტა გამგეობა, როცა ამა თუ იმ პირს სტიპენდიას უნიშნავს? ან იღებს თუ არა მხედველობაში იმას, რომ მავათი სტიპენდიტი სხვა დაწესებულებიდგანაც იღებს სტიპენდიას, თუ არა. მახსოვს ამ სამი წლის წინად ერთი სტუდენტი იყო, გაათავა, ექიმად იყო და კიდევ სტიპენდიას იღებდა, არიან კიდევ იმისთანებიც; რომლებიც წ. კ. საზოგადოებიდგანაც იღებენ 30 თუმანს და უნივერსიტეტიდგანაც ამდენსავე, მაშინ როდესაც სხვა მათი ამხანაგები მშვივრები არიან, მე ვადმომცეს, მაგ. ორს ამისთანა პირზედ პეტერბურგისა და კიევის უნივერსიტეტში. კარგი იქნება; აქაც წინდახედულობა და სამართლიანობა იყოს.

მოკლე ხანში ყველა ამ კითხვებს უფრო დაწვრილებითა და ვრცლად გავარჩევთ.



## ჩვენი ცხოვრების ანაბიოზი

მოგეხსენებათ, ანაბიოზი—ეს იმისთანა მდგომარეობაა, როდესაც ორგანიზმი ცოცხალიც არის და არც ცოცხალია. სუნთქვა აღარა აქვს, გული არ უცემს, ნივთიერება არ ცვალებადობს, მაგრამ ცოცხალი კია მაინც. სწორედ ამ გვარ ანაბიოზურ მდგომარეობაში ვართ ყველა ჩვენცა და ჩვენი ცხოვრებაც. პროფ. ბახმეტიევი ანაბიოზის დასკვნაზედ რწყილებისა და ბაღლინჯოს ტემპერატურის გამოკვლევის შემდეგ მივიდა. უფრო ადვილი არ იქნებოდა ჩვენს პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას დაჰკვირვებოდა, განა ისევ იმ დასკვნამდე არ მივიდოდა! მიმოიხედეთ, თუ ყველა ირგვლივ ანაბიოზს არ მოგაგონებთ: სუნთქვა არ ისმის, გული არა ცემს, სული არ აღმაფრენობს და ყველა თავის სოროში ანაბიოზს მისცემია. ბეხტერიევის მიერ გაყინული ტარაღანასავით, ვწევარა და ვუცდით.— აჰა, ცხოვრების გაზაფხულის სიო წამოჰბერს, ტემპერატურა ცოტა მაღლა ავა და ჩვენც შეგვეტყობა სიცოცხლის პირველი ნიშნებიო. ამ გვარად ცხადია, რომ პრ. ბახმეტიევის მიერ დაყენებული საკითხი უსათუოდ რუსეთში უნდა დაბადებულიყო, და იგი შეეფერება მთლიანად, როგორც მთელი რუსეთის ცხოვრებას, ისე კერძოდ ჩვენი ეროვნული

ცხოვრების მსვლელობასაც. ანაბიოზია გამეფებული იქაც და აქაც, მეტადრე ჩვენს ინტელიგენციაში, რომელზედაც უფრო ახდენს გავლენას გარემო ცხოვრების ტემპერატურა.

ნარი.

## რუსეთის ბიუჯეტის დამახასიათებელი

ამბობენ, მოხუც ანსელმ როტშილდს გერმანიის მთავრები ფულს რომ ესესხებოდნენ, ჰკვირანი ბანკირი, მინამ დასთანხმდებოდა ფულის მიცემას, საჭიროდ სთვლიდა ჯერ იმ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაცნობას. და აქ ბანკირი თურმე ისე შორს მიდიოდა, რომ პირადად შემოვივლიდა ხოლმე მთელს იმ მხარეს, და მხოლოდ მაშინ გახსნიდა თავის ქისას, როცა აყვავებულ-ამწვანებულ ველ-მინდვრებსა და კარგად მოწყობილ მეურნეობას დაინახავდა.

ეს ისტორიული ანეგდოტი ხშირად მოჰყავთ ხოლმე საფინანსო მეურნეობის გამოკვლევებში თანამედროვე ფინანსიური უფლების ძირითადი დებულების საილიუსტრაციოდ, — იმის დასამტკიცებლად, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტსა და იმ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის შუა. მაგრამ, თუმცა ბიუჯეტის დამოკიდებულება საერთო მეურნეობასთან საყოველთაოდ მიღებულია, მაინც ამ დამოკიდებულების კონკრეტული ფორმების გამოკვლევა ჯერ მხოლოდ ახლად იწყობა. კერძოდ რუსეთის ბიუჯეტი ამ მხრივ ჯერ სრულიად გამოუკვლეველია. იციან, რასაკვირველია, კერძო ფაქტორები, რომლებიც ამა თუ იმ გავლენას ახდენენ ბიუჯეტის მდგომარეობაზედ. იციან, მაგ., რომ მოსავლიან წლებში სახელმწიფო გადასახადი უფრო მეტი შედის ხაზინაში; მოუსავლიან წლებში კი პირიქით. მაგრამ ჯერ სრულებით გამოუკვლეველია, რა გავლენას ახდენენ სახელმწიფო ბიუჯეტზედ სამრეწველო კრიზისები, რომლებიც ეხლა რუსეთშიც ისევე პერიოდულ მოვლენად იქცა, როგორც დასავლეთ ევროპაშია. უნდა კი ვთქვათ, რომ ეს გავლენა ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი არასოდეს არ შეფასებულა მისი სახელმწიფოს საერთო მეურ-

ნეობასთან შეფარდების თვალსაზრისით. ამისთანა შეფასება კი აუცილებელი და უსაჭიროცაა. ის მოგვკმდა ჩვენ ბიუჯეტის საკრიტიკოდ ობიექტიურ საფუძველს და ამ კრიტიკას უფრო **სარწმუნოდ** გახდიდა. ის ამასთანავე ნებას მოგვცემდა დავედგინა, როგორნი არიან ის ცვლილებანი, რომლებიც შეუტანია ბიუჯეტში 1906 წლიდან განცილდ ეკონომიურ და პოლიტიკურ ევოლიუციას. აქამდის ყველანი კმაყოფილდებიან მხოლოდ ზოგადი გამოთქმით, რომ რუსეთის მეურნეობა დაქვეითებულია და რომ ეს დაქვეითება გამოისახება თვით ბიუჯეტშიაცაო. რომ რუსეთის ბიუჯეტი ყველაფერში არ ეთანაბრება ბიუჯეტს ბურჟუაზიული სახელმწიფოების პომეტებულ ნაწილისას, რომ მასში კვლავ იპოვებიან ელემენტები ძველის ძველი დროისა, ეს ექვს გარეშეა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ელემენტების როლი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი არ არის. რუსეთის ბიუჯეტიც თავისი შენობით, შემოქმედობით სულ უფრო და უფრო უახლოვდება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფოების ჩვეულებრივ ბიუჯეტს. და მაინც ერთს შემთხვევაში კი ის ძალიან დაშორებულია მათთან. ჰკარგავს რა სულ უფრო და უფრო თავის ფეოდალურ-ბატონ-ყმურ სახეს, ითვისებს რა სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ბიუჯეტის ხასიათს, რუსეთის ბიუჯეტი მაინც თავისს გამოხატულებას იღებს **პირვანდელი** კაპიტალის დროიდან, იგი ერთმხრივად აუფლებს მაღალ ეკონომიური წრეების ინტერესებს და მშრომელი ხალხის საჭიროებას კი ყურადღებას არ აქცევს.

რომ რუსეთის ბიუჯეტი სულ მეტს ყურადღებას აქცევს **ბურჟუაზიულ** საზოგადოების მოთხოვნილებას, ამისი ნათლად დანახვა შეიძლება თუნდა ამ უკანასკნელი 7—8 წლის ხარჯთ-გაწერის შედარებით. შემოსავლის ფარგლებში ჩვენ ვხედავთ ხარჯების მძიმე უღლის თანდათან გადატანას სოფლის მცხოვრებლებიდან ქალაქის დაბალ კლასებზედ. გასავლის ფარგლებში ემჩნევა ხარჯების მეტის-მეტი მომატება ეგრედ წოდებულ კულტურულ-წარმოებით საჭიროებებზედ, რომლების დაუკმაყოფილებლად არ შეიძლება იყოს არც ერთი თანამედროვე სახელმწიფო.

1908 წელში სახალხო განათლების სამინისტროს მიეცა 53 მილიონი მანეთი, 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვით კი აზრად აქვთ დახარჯონ 161 მილიონი მანეთი, — ე. ი. სამჯერ უფრო მეტი. მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის უმთავრესს

სამმართველოსთვის, რომელიც სოფლის რეფორმას ახდენს ბურჟუაზიულ წესზედ, გაღებული იყო 1908 წელს—58 მილიონი მანეთი, 1914 წლის ხარჯთაღრიცხვით კი—157 მილიონი მანეთია,—კიდევ სამჯერ უფრო მეტი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხარჯი ამ ექვსი წლის განმავლობაში ორი იმდენი შეიქმნა, მაშინ როდესაც მთელი ბიუჯეტი გაიზარდა მხოლოდ ერთ-ნახევარჯერ.

კულტურულ-წარმოებითი ხარჯები ამ გვარად იზრდებოდა სხვა ხარჯებზედ უფრო სწრაფად. რას გვიჩვენებს ჩვენ ეს ფაქტი? მხოლოდ იმას რომ ეკონომიური ცხოვრების ბურჟუაზიულ კვალობაზედ გადაქმნას, რომელიც მომეტებულად სწრაფი ნაბიჯით ამ ბოლო დროს მიდიოდა, უთუოდ უნდა დაემჩნია კვალი ბიუჯეტისთვისაც. სახელმწიფოს ეხლა აღარ შეუძლიან მხოლოდ სამრეწვლო-საეკლესიო სკოლებით იოლს წავიდეს, არ შეუძლიან ყურადღება არ მიაქციოს აგრონომიულ ორგანიზაციებს, უნდა განავითაროს წინდახედული მხარის დაქერა ვაჭრობა-მრეწველობისა... მართალია, კულტურულ-წარმოებითი ხარჯების მსწრაფი ზრდა იმითაც აიხსნება, რომ აქამდის ამ დარგში რუსეთის ხარჯები ძალიან მცირე იყო; ყოველი ათეული მილიონის მიმატება ძალიან ასწევს მის შედარებითს რიცხვს და გვიჩვენება უფრო რადიკალურად, ვინემ ის ნამდვილად არის. მართალია ისიც, რომ აქამდინაც ამ კულტურულ წარმოებით ხარჯებში რუსეთი ჯერ კიდევ ძალიან დაშორებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან. და მართალია ისიც, რომ ყოველივე ამ გვარ მიმატების გამო დიდი ბრძოლაა ხოლმე საჭირო უწყებებთან. ბოლოს რჩება კიდევ საკითხი, რა განათლებას იძლევა სათანადო უწყება, ან როგორ ესმით პრაქტიკაზედ ეს კულტურულ-მწარმოებითი საკითხები. მაგრამ უწყებები ამ საკითხებს ცოტაოდენს ყურადღებას მაინც აქცევენ.

არის თანამედროვე სახელმწიფოების ბიუჯეტებში კიდევ ერთი განსაკუთრებითი მუხლი, რომელიც რუსეთის ბიუჯეტისთვის სრულიად უცხო ხილია. ეს მუხლია—სოციალური პოლიტიკისა. 1910—11 წ. ინგლისის ბიუჯეტში დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველსაყოფ სხვა ზომებისთვის დანიშნული იყო 225 მილიონი ფრანკი, საფრანგეთში—200 მილიონი, გერმანიაში—85 მილიონი, რუსეთში კი, თუ საქარხნო ინსპექციაზედ გაწეულ რამდენსამე გროშს არ ვიანგარიშებთ, სრულებით არაფერი! და ეს ასევე რჩება ამ წელშიაც. მუშათა კლასი და

მისი საქიროებანი რუსეთის ბიუჯეტში არ არის. ის არ იხსენება რუსეთის ბიუჯეტის არც ერთს მუხლში, ვითომ იმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს.

აი ეს არის დამახასიათებელი ნიშანი რუსეთის ბიუჯეტისა. იგი უკვე ითვისებს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარების ანბანს, იგებს განათლების, იაფ-ფასიან სახალხო კრედიტისა და საცად მინდვრების სარგებლობას, მაგრამ ამაზედ წინ რუსეთის სახელმწიფოებრივ განვითარებას კი არ შეუძლიან ფეხი წადგას, დამახასიათებელი თვისება თანამედროვე ბურჟუაზიული ბიუჯეტისა—სოციალური პოლიტიკის ხარჯების გაღდება—რუსეთისთვის უცხო და უცნობია. აი ამ დარგში უფრო ნათლად სჩანს რუსეთის მეურნეობის უკან ჩამორჩენა.

საინტერესოა, შევადაროთ ის სამხედრო-საზღვაო ხარჯებს. აქ კი რუსეთი სცდილობს ევროპას უკან არ ჩამორჩეს, და ხარჯი აქ თითქმის ერთს მილიარდს უდრის წელიწადში. ასევე დიდს ხარჯებს იწვევს კოლონიალური პოლიტიკაც. მაგრამ დასავლეთ ევროპაში სამხედრო ხარჯებთან ერთად ხალხის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ხარჯიც იზრდება, რუსეთში კი ამაზედ არც კი ფიქრობენ.

შემოსავლის ბიუჯეტშიაც არის ცხადი გამოხატულება მუშა ხალხისადმი უყურადღებობისა. სრულებით არ ფიქრობენ მათი გადასახადების შემცირებაზედ (პროგრესიული ხარჯთ-გაწერა და სხვ.).

აქ მხოლოდ ძალაუნებურად რამდენადმე აკმაყოფილებენ იმ საკითხებს, რომლებიც თვით უმაღლესი მთავრობის მიერ აუცილებლადაა მიჩნეული. სიამოვნებით ანვითარებენ სამხედრო-კოლონიალურ პროგრამას, მაგრამ ჩუმად არიან, როცა ლაპარაკი ხალხის სოციალურ მოთხოვნილებებზედ ჩამოვარდება ხოლმე.

გ. ნ.

## სრულიად რუსეთის მეურნეთა კრება ქ. კიევში

საზოგადოთ მთელი რუსეთი და კერძოდ ჩვენი საქათველოც ამ ჟამად განიცდის სამეურნეო მოქმედების არა ჩვეულებრივ გამოცდებს; მიწის საკითხი, სამეურნეო საკითხი თხოულობენ ყველა ძალთა შემოკრებას, დაიდ ქენრკიას და აურაცხელ შრამას, რომ სათანადოთ და სწორედ გადაჭრას იგი. ამისთანა დრო უფრო მო-

მეტეზულებს საჭიროებს საზოგადოებრივ კრიტიკას. და აი სწორედ ამიტომ, თუმცა ესლას ცოტა დაგვიანებულა, მაინც გვსურს გავანთოთ მკითხველებს წარსულ თვეში ქ. კიევიში მომხდარი სრულიად რუსეთის მეურნეთა ზირობები კრებს.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ საზოგადოებრივ ცნობების აღმომცემი ქ. კიევიში მეურნეობასაც დაეტოვო. კიევის ერთბაშად სიღარიბის მცხოვრებთა აგრანომიულ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ეს სხვათა შორის სხანს სტატისტიკური ცნობებიდგანან. როგორც ციფრები გვიჩვენებენ, 1905 წლიდან 1913 წლამდე აგრანომიულ საჭიროების გამო გაწეული ხარჯები 85-ჯერ მეტი გამხდარა, და ამ 1913 წელში 919,114 მანეთი უოფილა; მიწად-მოქმედების დახმარება 1907 წელში აქ უდრიდა 27,258 მანეთს, წელს კი 613,585 მანეთით. ამ გვარად ერთბაშად და ღარიბების ხარჯი მცხოვრებთა აგრანომიულ დახმარებასად 1913 წელში კიევის გუბერნიის უოფილა 1.532,699 მანეთი. აი, რა დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლიან ერთბაშად და კარგად წაყვანილ საქმეს.

სამეურნეო კრების ზირობას დღეს ორი მოხსენება წაიკითხეს.

პირველი მოხსენება წაიკითხა ზროფეს. კოსინსკი იტყობდა: „სოფლის მეურნეობის ევოლიუცია.“ ზროფე. კოსინსკი ძველი და მტკიცე რწმენის მამხრეა წვრილი მეურნეობისა. მეურნეობას იგი ჰყოფს ორ გვარად: შრომის და კაპიტალისტური. დაჰკვირვებთ აგრანომიულ განვითარების სიღრმეს, ამ ორ გვარ მეურნეობის შუა ბრძოლის სტიქიურ მსვლელობას, და ზროფე. კოსინსკი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ გამარჯვება აუცილებლად ხვდება შრომის მეურნეობას. ყოველ ქვეყანაში, როგორც განსხვავებულ უნდა იყოს მათს კულტურაში, როგორც კი ისინი გადდიან ინტენსიურ მეურნეობასად, კაპიტალიზმად დასაკვანის ზროფესობრივ, ერთი და იგივე კემნივა: დაწვლილება, მოსხობა მსხვილი მეურნეობისა, რომლებიც სცხოვრობენ დაქირავებული შრომით. ზირობით, საკლებო მეურნეობა იზრდება. სამწუხაროდ, თავის მოკლე მითხრობაში ზროფე. კოსინსკი ამ მოთხრობას თავისი დებულების დამამტკიცებელი სტატისტიკური ცნობები. ისიც ჰქონდა იგი ცხადი, რა ნიშნებით არჩევს ზროფე. კოსინსკი ამ ორს გვარს მეურნეობას ერთმანეთიდან. საკლებო მეურნეობაში ზროფე. კოსინსკი ხედავს სამს სხვა და სხვა გვარს: 1) ზარცელაობრივი (წვრილმანი), როცა კლები სიღრმე ქარხანაში მუშაობს, სახლში კი, სოფელში, აქვს მხოლოდ სიღარიბე ბინა და ბოსტანი, რომლის დამუშავებაც ცოტა უწევს იმის შემოსავლეს; 2) სასახლადობრივი, როცა კლები-კაცს უფრო

მეტი მიწა აქვს, მაგრამ იმის დამუშავება მაინც არა კმარა, რომ ოჯახის ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებას; ამიტომ ოჯახის 'ხაგიერთი' წევრები სამუშაოს სხვაგან ეძებენ; 3) შრომისა, - რომლებიც წარმადგენენ შოლიან გლეხის მეურნეობას, სიღარიბე მუშაობს მთელი მისი ოჯახი. მომავალში უმთავრესად მხოლოდ ეს შრომის მეურნეობანი გაიმარჯვებენ. საშუალოდ იმათ ხელში უნდა იყოს 50 დესეტინა მიწა. მაგრამ, დასძინს აქვე ზროფე. კოსინსკი, შრომის მეურნეობის გამარჯვებას სრულებითაც არ მოჰყვება სოფლის ზროფე-ტარიხაცია. სამწუხაროდ, ზროფესობრივი აქაც მხოლოდ საზოგადოებრივად იძლევა.

ზროფეს. კოსინსკი თავის მოხსენებას ათავებს უფრო ნაკლებად სიღარიბე დებულებით: ის ამბობს, თუ გერმანიაში ან სხვა ქვეყნებში შოლიანი საკლებო მეურნეობა დამკვიდრდა, როგორც ნორმალური და ბუნებრივი ევოლიუციის შედეგი, ჩვენში ის განკუთვნილია, სრულიად არა საზოგადოებრივად მუშაობს. კულტურულ შრომის საკლებო მეურნეობის დაარსების მაგივრად გამოდის მტკიცებლობა მდიდარი გლეხებისა, რომლებიც თითონ უიდეულობენ, იქნენ მთელს მამულებს, დარბის კი უხარბან მათი თავიდან მოშორება, რომ სრულიად თავისუფალი იყოს.

მეორე მოხსენება დასაკვანა, ზროფესობრივის აზრით, აქედან შემდგომად: ჩვენი აგრანომიული ზოლიტიკა უნდა შეუკავშიროთ ევოლიუციის კანონებს. თუ ევოლიუცია აგრანომიულ ურთიერთობისა იმ გვარია, რომ მიჰყავს (რუსეთშიც) შრომის მეურნეობის გამარჯვებისაკენ, მაშასადამე, მოაგრობამაც უნდა თავისი ზოლიტიკა ააშენოს ამ შრომის მეურნეობას ქმარებასად.

მაშასადამე, მხარის დაჭერა შოლიანი საკლებო, ანუ, რაც იგივეა, შრომის მეურნეობისა, როგორც იდეალი აგრანომიული ზოლიტიკისა, აი რას გვეუბნება ზროფესობრივი კოსინსკი.

მეორე მოხსენება იმავე დღეს წაიკითხა ზროფე. კოსინსკი იტყობდა: „სასოფლო-სამეურნეო აღწერა“. მომხსენებელი უჩვენებს ყველასთვის ნაცნობ ფაქტს— აგრანომიული სტატისტიკის საკლებო განვითარებას და ამ საქმის ცუდს დაუქმებას რუსეთში. და ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ უწევდათ არ იცოდნენ, რა მიმდებარეობდა აქვე ციფრებს რუსეთის სოფლის მეურნეობის განვითარებას— აღწერისგანა. ზირობით! თითქმის მთელი ოთხი უწევდა აგრანომებს ამ ციფრებს: ოფიანსების, მხინჯან საქმეთა, ვაჭრობა-მრეწველობისა და მიწათ-მომწობის, და ამათ გარდა კიდევ ერთბაშად. მაგრამ ამოდენა მლოლიაგებულს ბავშვი მაინც მახინჯი ჰქვავთ, და ეს სრულიად არა შეუძლია საქმის წინ წასვლას. თვით კოკოფცევა განაცხადა, რომ

რუსეთის მოსავლის საუკეთესო სტატისტიკა უნგრეთის მიწად-მოქმედების დეპარტამენტს ეკუთვნის. რუსეთის უწყებათა მიერ მიღებული ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, და პირველი წყარო, საიდგანად მათ ეს ცნობები მისდით — ეს სოფლის მწერალია, რომელიც სანატიო მოვალეობას ასრულებდა ჯერ ისევ მღვდელის დროს. აქ იმისი ბრალიც უნდა იყოს, რომ ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს ბიუჯეტი სულ 57,000 მანეთს უდრას, მაშინ როდესაც გერმანიის საიმპერიო სტატისტიკურ ბიუროს 1 მილიონი მანეთი აქვს.

სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკური აღწერის სარგებლობა ისე ცხადია ევლასათვის, რა 1 პროფესორია ამხედ სრულებით არა ჩერდება. იგი გადადის პრაქტიკულ კითხვებზე.

როგორ უნდა სწარმოებდეს ეს აღწერა? პროფ. ვობლის აზრით რუსეთისთვის სმფობინია ისეთი აღწერის შემოღება. როგორც ავსტრიასა, შვეიცარსა და არგენტინას. ეს აღწერა უნდა სწარმოებდეს ცალკე სსოვადო ხელხის აღწერას შემდეგ. უსაიუოდ საერთო მცხოვრებთა აღწერით უნდა ვიხელმძღვანელოთ: სასოფლო მეურნეობაში მომუშავე პირთა რიცხვსა და მათა გაცნობისათვის. დაწვრილებითი პროგრამა უნდა უთუოდ შემუშავდეს სასოფლო-მეურნეობისა და სტატისტიკურ კრებებზე მცოდნე პირებისაგან, და მთელი სსოვადობა უნდა აქონას მიწვეული დასახმარებლად ამ საქმეში.

პროფ. კოსინკისა და პროფ. ვობლის მოსახეება შემდეგ კრებებზე გააჩიეს სექციებმა, მაგრამ აწის შესახებ შემდეგ იყოს. სულ ექვსი სექცია იყო: ეკონომიკისა, სსოვადო აგრონომიასა, მიწად-მოქმედებისა, ცხოველთა მოშენებისა, მეხეობისა და მეტეოლოგიისა.

**გ. ნამორაძე.**



**შვეიცარის მოკლე პოლიტიკური ეკონომიური მიმოხილვა**

პატარა შვეიცარიის რესპუბლიკა, რომელიც მომწყვედელია ოთხ სახელმწიფოთა შუა, უმთავრესად მთიან ქვეყანას წარმოადგენს, რომლის ტერიტორიის ს ვრცე 41,324 ოთხკუთხ კილომეტრს უდრის.

გეოგრაფიულად მი'ი დაყოფა სამ ნაწილად შეიძლება: პირველ და უმთავრეს ნაწილს შედგენენ, ალპები რომლებიც დასერილან მრავალ ხეობებით და უჭირავთ მთელ შვეიცარიისა. ალპების შემდეგ თავის სივრცით პირველი ადგილი უკავია ხეობას, რომელიც გადაჭიმულია ალპებს და იურას შუა. მისი სივრცე უდრის თითქმის მთელ შვეიცარიის ერთს მესამედს. მესამე უმცირესი ნაწილი არის მთა იურა.

ამ რიგად ეს ქვეყანა მაღლობებით დახასიათდება. სადაც ზოგიერთი ადგილი 400 მეტრს სქარბობს თავის სიმაღლით: რასაკვირველია, ამისთანა მდებარეობის გამო, შვეიცარიის ჰავა მკაცრი და შეუპოვარია, თუმცა რაც უფრო ხეობებში გადადის თან და თან რბილდება და ზოგიერთ ხეობებში თითქმის ტროპიკულ ხასიათსაც იღებს. ამის გამო შვეიცარიის ბუნება მდიდარია კონტრასტებით, რაც ერთგვარ სილამაზეს აძლევს მის გარეგნობას. ერთ და იმავე კანტონში შეხვდებით როგორც მაღლა მთებს, სადაც ექვსი თვე ზამთარი მეფობს, აგრეთვე ვენახებით და სხვა საზრდოთის მცენარით ამწვანებულ ადგილებს.

ამასთან ერთად. უცხოელის ყურადღებას იპყრობენ, მთა-ბართან მოხდენილად შეზავებულნი ლამაზი ტბები. რომელთაც თავის სივრცით მთელი ტერიტორიის მეთორმეტედი ნაწილი უკავიაო. რამდენად ლამაზია შვეიცარია თავის გარეგნობით, იმდენად მწირი და ღარიბია თავის ნაყოფიერობით. ისედაც მცირე ტერიტორიიდან, მხოლოდ სამი-მეოთხედი იძლევა ნაყოფს, დანარჩენი კი გამოუსადეგარია.

ამ არე-მარეზედ მოსახლე შვეიცარიის მოქალაქეთა რიცხვი უდრის სამ მილიონ ნახევარს, რომელნიც ოცდა ორ კანტონად არიან დაყოფილნი. თვითიულს მათგანს მინიჭებული აქვს შინაურ საქმეებში სრული სუვერენიტეტი, ე. ი. ყოველ კანტონს აქვს თავის კანონ მდებლობა, სამართალი ბიუჯეტი და სხვა...

კანტონალურ დაწესებულებათა გარდა, არსებობენ აგრედვე შვეიცარული, აგრედ წოდებული ფედერატიული დაწესებულებანი, რომელნიც განაგებენ საერთოდ შვეიცარიის საქმეებს, ასეთია მაგალითად ორი კანონ-მდებლობითი პალატა: ერთი ნაციონალური, რომელიც შესდგება პირდაპირ ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებისაგან და შეიცავს 167 წევ.; მეორე, — კანტონთა საბჭო, სადაც თვითიულ კანტონს ორი წარმომადგენელი ჰყავს. ყოველივე დადგენილება ძალაში შედის მხოლოდ ორივე პალატის დასტურით. გაბატონებულ მიმართულების მატარებლად ორივე პალატაში რადიკალურ-დემოკრატები ითვლებიან; რომელთაც ეკონომიურ საკითხებში მიღებული აქვთ აგრედ წოდებული სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, მუშათა დაზღვევის საკითხი, რკინის გზების ნაციონალიზაცია, და სხ. პროგრამის უმთავრეს მუხლებს შეადგენენ.

ეს ორი ზემოხსენებული პალატა, შეერთებულ ძალით ირჩევს დანარჩენ ორ ფედერატიულ კოლლეგიას: ფედერატიულ საბჭოს (შვეიცარიის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო) და ფედერატიულ სამართალს. მთელი შვეიცარიის სახელმწიფოებრივი

ორგანიზმი დამყარებულია ფართო დემოკრატიულ პრინციპზედ, სადაც თვითეული სრულ წლოვანობამდე მიღწეული მოქალაქე, აღჭურვილია სრულ პოლიტიკურ და პიროვნულ უფლებებით.

ინიციატივა კანონ მდებლობით სფეროში მინიჭებული აქვთ, როგორც ორივე პალატის თვითეულ წევრს, აგრეთვე ფედერატიულ საბჭოს და ცალკე კანტონებს.

თვითეული კანონ პროექტი რომელიც მიღებულია ორივე პალატის სანქციით, შესაძლებელია ან სრულიად უკუგდებული იქმნეს ან შესწორდეს, რეფერენდუმის ძალით, რომლის უფლება ხალხს მინიჭებული აქვს 1874 წლის კონსტიტუციით. რეფერენდუმში კანონ-პროექტის შესახებ კანონიერია, თუ ამას მოითხოვს რიცხვით არა უმცირეს 30,000 მოქალაქისა. რეფერენდუმის ძალით შევიცარიელთ აქვთ უფლება შეეხონ არა მარტო კანონს, არამედ მთელ არსებულ კონსტიტუციას, თუ ამას მოითხოვს 50,000 მოქალაქე!

ამ გვარად შევიცარია წარმოადგენს აგრედ-წოდებულ კონფედერატიულ რესპუბლიკას, რომლის სხეულში შედის 22 კანტონი.თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვითეული კანტონი პატარა სახელმწიფოა, რომელიც შედის დიდ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში და რომლის ცხოვრება მიმდინარეობს თავისებურ კალაპოტში, ადგილობრივ სოციალ ეკონომიურ, და ბუნებრივ პირობების მიხედვით. ამიტომ შევიცარიის მკვიდრთა ცხოვრება ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც თვით ამ ქვეყნის ბუნება.

ამ განსაკუთრებულ წესწყობილების ზეგავლენით, სადაც პრინციპზედ აღიარებულია ერთობა მრავალ ფეროვნებაში და მრავალ ფეროვნება ერთობაში, განვითარდა შევიცარიელის მძლავრი შემომქმედი ნიჭი, რომელზედაც დამყარებულია მისი აწმყო და მომავალი კეთილდღეობა, ამ ნიჭის წყალობით მან ააყვავა და სული შთაჰბერა იმისთანა კლდე-ღრეებს და სიცივისაგან მიუდგომელ მთებს, როგორც მას ბედმა სამშობლოდ არგუნა.

ამის ძალა ვერ შემწევს სხვა რომელიმე უსი-ცოცხლო ცენტრალიზმით დახშულ ხალხს, ვინაიდან მის შემოქმედებას არა აქვს ასეთი ფართო გასაქანი. ეს აზრი უფრო ნათელი იქნება თუ შეადარეთ შევიცარია მისივე მომიჯნავე ცენტრალისტურ საფრანგეთს.

შევიცარიის ნამდვილი აყვავების ხანა იწყობა მე-18 საუკუნის დამლევეს, როდესაც მან თავი დაახწია ფეოდალიზმს და მის განუყრელ თანამგზავრს — ნატურალურს მეურნეობას და ახალ საუკუნის დასაწყისში თავისუფალ განვითარების გზაზედ შესდგა ფეხი.

ამ ხანამდე მისი ნორმალურად წინსვლელობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ამას ერთი მხრივ ხელს უშლიდა არა რაციონალურ მეურნეობის წარმოება, რის წყალობითაც მიწის დიდი ნაწილი და-

სამუშავებელი რჩებოდა, მეორე მხრივ ინდივიდუალური თვით მოქმედება მეტად შეზღუდული იყო კომმუნების მიერ, რომელთა ხელში იმყოფებოდა იმ დროს მთელი მიწათ-მფლობელობა. ამასთან ერთად, მოგვხსენებათ რომ ნატურალური მეურნეობა დახასიათდება კარ-ჩაკეტილობით, სადაც ცხოვრებისათვის ყოველგვარი საჭირო პრადექტი ოჯახის წესით მზადდება, ამასავე განიცდიდნენ ფეოდალიზმის დროს შევიცარიის კომმუნები. ისინი მისდევდნენ როგორც მერძეობას, ისე მევენახეობას, პურის მოყვანას და სხვას... ამ გვარი მეურნეობის წარმოება არ იყო სახირო შევიცარიელისათვის. რადგანაც მისი სამშობლოს მწირ ნიადაგზედ ძნელად იკიდებდა ფეხს მაღალი კულტურის მცენარე.ამ გარემოებით აიხსნება ის მრავალი მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელიც შევიცარიის წარსულში განუცლია. მაგრამ დადგა 19 საუკუნე, როდესაც ერთის მხრივ მეურნეობამ თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგა წინ, მეორეს მხრივ მრეწველობის განვითარებით და მისვლა-მოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებით, გაძლიერდა აღებ-მიცემობა უცხო სახელმწიფოთა შორის, რომელთა ფერხულში პატარა შევიცარიაც ჩაება.

რასაკვირველია ამ ორმა მოვლენამ დიდი გავლენა იქონია შევიცარიაზედ. მათ ძირითადად შესცვალეს მისი ეკონომიური ცხოვრება და მისი მიმდინარეობა სრულიად ახალ კალაპოტში ჩააყენეს.

ეს ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ წინანდელი ნატურალური მეურნეობის მწარმოებელი ქვეყანა შეიქმნა მაღალ მეურნეობის და მრეწველობის პატრონი, რითაც სხვა სახელმწიფოთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა.

რადგანაც უცხო სახელმწიფოებმა, შევიცარია უზრუნველ ჰყვეს იმ პროდექტების მხრივ რომელნიც მის ნიადაგს და ჰავას ვერ ეგუებოდნენ, მან მიჰყო ხელი იმ დარგის წარმოებას, რომელიც უფრო სახირო იყო მისთვის და ბუნებაც მასში ხელს უწყობდა. ეს დარგი გახლდათ საძოვრის გამრავლება, რის წყალობით მერძეობა და საქონლის მოშენება ამ ქვეყნის სპეციალიზაციად გარდაიქცა. საბალახეობის გამრავლება ჩქარის ტემპით წავიდა წინ. რადგანაც შევიცარიის მთიანი ბუნება ამას ძალიან უწყობდა ხელს; ამის გამო ზოგიერთ კანტონში საბალახეობმა მთელი მიწის 90 პროც. დაიჭირეს. მათი გაფართოებით, მევენახეობას და პურის მოყვანას თანდათან ნიადაგი უმცირდება. ამ

ჟამად შევიცარიის მოჰყავს მხოლოდ მთელი საჭიროების 51,5% პური, უმთავრესად დასავლეთ ნაწილში, რომელსაც ხეობა უკავია. დანარჩენი საჭირო პური უცხოეთს შემოაქვს; სახელდობრ რუსეთს, ავსტრო-უნგრეთს, შვეიცარიულ შტატებს, არგენტინას და სხვა. ხეობაშივე დარჩენილია მევე-

ნახეობაც, რომელიც რაციონალურ ნიადაგზედ არის დაყენებული, მაგრამ რადგანაც ბუნება მას ხელს არ უწყობს, აქაური ღვინოები გაცილებით დაბლა სდგანან, ვიდრე საფრანგეთიდან და იტალიიდან შემოტანილი ზოგიერთ ადგილას შეხვედებით მებოსტნეობას და მებხილეობასაც, მაგრამ არც მათ აქვთ მოპოვებული ფართო ნიადაგი.

ამ რიგად, შვეიცარიის არემარზედ არც ერთმა მეურნეობის დარგმა ისეთი მკვიდრი და ფართო ნიადაგი ვერ მოიპოვა, როგორც მერძეობამ და საზოგადოდ საქონლის მოშენებამ. ამ ორი დარგით გაძლიერდა ეკონომიურად და დიდი სახელი მოიხვეჭა მან მსოფლიო ბაზარზედ.

მისი საბალახოები, გონივრულ მოვლით და შესაფერ ბუნების წყალობით, იშვიათ ღირებულობით არიან დაჯილდოვებულნი, რაც დიდ უპირატესობას აძლევს შვეიცარიელს საქონლის მოშენების საქმეში. ამის გამო შვეიცარიის საქონლის ჯიშში, მაღალ ღირსებით შემკული, ყოველგვარ კონკურენციის გარეშე იმყოფება და ძალიან ძვირადღაცა ფასობს. ყოველ მოზრდილ სოფელში ხელოვნურად ჯიშის გასაუმჯობესებლად, არსებობს სპეციალური საზოგადოება. საქონლის მოშენებაში უპირატესობას აძლევენ რქოსან პირუტყვს (bovine), ხარს და ძროხას, როგორც უფრო გამოსადეგთ.

ამ დარგთან ერთად არა ნაკლებად განვითარდა მერძეობაც, რომელიც ამ უკანასკნელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. შვეიცარია წლიურად დაახლოვებით 18 მილიონ ჰექტოლიტრ რძეს იძლევა, საიდგანაც 17% სჭირდება საქონლის მოვლა შენახვას, 45% იხარჯება ადგილობრივ მკვიდრთა მიერ, მხოლოდ დანარჩენი კი ხმარდება რძის ინდუსტრიას, ე. ი. ყველის, კარაქის, რძის კონსერვების და სხვა პროდუქტების დამზადებას.

თავის სიფართოვით და მაღლა ღირსებით, ჩამოთვლილ პროდუქტებში, ყველის დამზადებას უჭირავს პირველი ადგილი: შვეიცარული ყველი საკმაოდ განთქმულია დედამიწის ზურგზედ.

რადგანაც შვეიცარია წარმოადგენს წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანას, საცა სხვილი ფერები იშვიათი მოვლენაა, ამიტომ საქარხნო წესით ყველის დამზადებისათვის, თვითეულ სოფელში არსებობს კოოპერატიული საზოგადოება, სადაც მთელ სოფელში შეგროვილ რძიდან მზადდება ყველი, სპეციალისტების მიერ. ამავე საზოგადოების სახრუნავს შეადგენს დამზადებულ პროდუქტისთვის ბაზრის მოპოვება. ყველთან შედარებით, კარაქის დამზადებას უფრო ნაკლები ნიადაგი აქვს მოპოვებული. აქვე აღსანიშნავია, რომ რძიდან სიმსუქნის მოხდის შემდეგ დარჩენილ შრატით ჰკვებავენ ღორებს, რომელთაც საუკ თესოდ უხდებათ ეს საქმე. შემოსავლის წყაროდ გარდაიქცა აგრედვე რძის კონსერვების დამზადება (lait condense) რის-

თვისაც სპეციალური ქარხნები არსებობს. მათი დამზადება მდგომარეობს იმაში, რომ რძეს ხელოვნურად ანთავისუფლებენ, მასში მყოფ წყლისაგან, რის შემდეგ დარჩენილ ნამდვილ რძის სითხეს გერმეტაულად ჰბეჭდავენ. ამ კონსერვებს დიდი გასავალი აქვთ უცხოეთში.

საყურადღებოა აგრეთვე რომ ტყე, რომელიც ჩვენში ასე უგვანოდ იჩნება, განათლებულ შვეიცარიელის ხელში სიმდიდრის წყაროდ არის გადაქცეული. წლიურად იგი აძლევს შვეიცარიას 40 მილიონამდე შემოსავალს. მართალია შვეიცარია, თავის ბუნების მიხედვით განსაკუთრებით მეურნეობის ქვეყანა არის, მაგრამ არც მრეწველობაშია ჩამორჩენილი. იგი ღარიბია მანდენულობით, განსაკუთრებით კი ქვა ნახშირით, რაც ძალიან დააბრკოლებდა მრეწველობის განვითარებას, რომ მოხერხებული და ცოდნით აღჭურვილ შვეიცარიელის გონებას სხვა საშუალებისთვის არ მიემართა. ეს იყო ჩანჩქრების გამოყენება ელექტრონის ძალის საშოვნელად, რომელმაც აამუშავა არა ერთი და ორი შვეიცარიის ქარხანა.

უმთავრეს მრეწველობის ცენტრად უნდა ჩათვალოს ჩრდილოეთი შვეიცარია; სახელდობრ ციურიხის, ბაღის და სენეგალის კანტონები. აქ დამზადებული სხვა და სხვა ქსოვილები ცნობილი არიან ევროპის ბაზარზედ. საკვირველ განვითარებამდე მისულია აგრეთვე მესაათობის ტენჯიკა, რომელიც შვეიცარიაში მე 16-ე საუკუნიდან არის შემოსული. ამ დარგში განსაკუთრებით ცნობილია ნევშატელიის კანტონი.

შვეიცარიის მრეწველობა დაახლოვებით რამდენიმე ას მილიონ ფრანკს იძლევა წლიურად.

აი მოკლედ მკრთალი დახასიათება ამ პატარა მაგრამ ამავე დროს დიდი ქვეყნისა. მისმა თავისუფლების მოყვარულმა შვილებმა, ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს ამ გვარი კლასიკური წესწყობილება, რომელიც შეადგენს ეროვნულ სიამაყეს თვითეულ შვეიცარიელისა.

ამ წესწყობილებაზედ არის დამყარებული მთელი მათი დღევანდელი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა და კიდევ დიდი ხანი გაივლის ვიდრე ჩვენისთანა დამონებულ ერებს შვეიცარია და შვეიცარიელი სანატრელ იდეალად ექნებათ დასახული.

გინ — ცანი.


რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო


## საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub> დესეტინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანობა მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.